მემორანდუმი

„სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ არსებული გარკვეული ინფორმაციის სსიპ-შემოსავლების სამსახურისთვის გადაცემის შესახებ

ქ. თბილისი 9 ნოემბერი 2020 წ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შემოსავლების სამსახური **(შემდგომში - სამსახური)**, წარმოდგენილი სამსახურის უფროსის, **ლევან კაკავას სახით**, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სოციალური მომსახურების სააგენტო **(შემდგომში – სააგენტო),** წარმოდგენილი სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, **გიორგი წოწკოლაურის** სახით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო **(შემდგომში - „სამინისტრო“)**, წარმოდგენილი სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსის, **მიხეილ ჯანიაშვილის** სახით შემდგომში ერთობლივად წოდებულნი, როგორც მხარეები, ხოლო ცალ-ცალკე, როგორც მხარე,

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 51-ე მუხლის, „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანების 51-ე მუხლის მე-7 პუნქტის, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის №126 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების წესის“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 3 ოქტომბრის №01-14/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ და „სამსახურის“ 2020 წლის 27 აპრილის N39602 კორესპონდენციის გათვალისწინებით, წინამდებარე მემორანდუმით ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. მემორანდუმის მიზანი და საგანი

1.1 მემორადუმის მიზანია „სამსახურის“ მიერ „სააგენტოსგან“ წინამდებარე მემორანდუმით განსაზღვრული ინფორმაციის გამოთხოვა საკუთარი საქმიანობიდან გამომდინარე, კერძოდ, საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული უფლება-მოვალეობების სრულფასოვნად განხორციელების ხელშეწყობისთვის, მათ შორის, გადასახადების ადმინისტრირების პროცესში სწორი და ეფექტიანი რისკის კრიტერიუმების შესამუშავებლად და სამართავად.

1.2. მემორანდუმის საგანია „სააგენტოს“ მიერ „სამსახურისთვის“ „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ (შემდგომში - „ბაზა“) რეგისტრირებული იმ პირ(ებ)ის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, რომლის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი პირობითი ერთეული (სარეიტინგო ქულა) - არ აღემატება 100 000-ს და სამსახურის ერთიან ელექტრონულ ბაზაში რეგისტრირებულნი არიან დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გადამხდელად ან/და წარმოადგენენ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით რეგისტრირებული დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელი იურიდიული პირის დამფუძნებელს ან/და ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს.

1.3. სამსახურის მიერ გამოგზავნილი მოთხოვნა უნდა შეიცავდეს სუბიექტის პირად ნომერს.

1.4. წინამდებარე მუხლის მე-1.2 პუნქით გათვალისწინებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

1.4.1. სახელი და გვარი

1.4.2. პირადი ნომერი

1.4.3. ფაქტობრივი მისამართი

1.4.4. მობილური ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში).

1.5. „სამსახურისთვის“ ამ მუხლით განსაზღვრული მონაცემების მიწოდება ხორციელდება წინამდებარე მემორანდუმის N1 დანართით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

მუხლი 2. კავშირის უზრუნველყოფა

2.1. „სამსახურისთვის“ ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება „სამინისტროს“ ინფრასტრუქტურის მეშვეობით, რომლებიც უზრუნველყოფენ მის გამართულ მუშაობასა და შეუფერხებლად გამოყენებას.

2.2. ინფორმაციის მისაწოდებლად მხარეთა შორის კავშირი მყარდება დახურული კერძო ქსელის (VPN) საშუალებით, რომელიც აიგება ინტერნეტ სერვისის პროვაიდერის საკომუნიკაციო არხების გამოყენებით. დახურული კერძო ქსელის აგებისას გამოყენებული ქსელური მოწყობილობა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:

2.2.1. მარშრუტიზაციისა და IPSec Tunnel ტექნოლოგიის მხარდაჭერა;

2.2.2. შიფრაციის პროტოკოლის 3DES მხარდაჭერა;

2.2.3. ჰეშირების პროტოკოლის SHA მხარდაჭერა.

2.3. წინამდებარე მემორანდუმის ამოქმედებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში „სამინისტროს“ და „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ უფლებამოსილი წარმომადგენლები ერთობლივად უზრუნველყოფენ დახურული კერძო ქსელის (VPN) კონფიგურირებას (გამართვას).

მუხლი 3. მხარეთა კომუნიკაციის პირობები

მემორანდუმით გათვალისწინებულ საკითხებზე „მხარეები“ ერთმანეთის ინფორმირებას ახდენენ მათ მიერ განსაზღვრული, უფლებამოსილი პირების მეშვეობით, წერილობითი ფორმით, ელექტრონული ფოსტით ან/და სატელეფონო კომუნიკაციის გზით.

მუხლი 4. ინფორმაციის გამოთხოვის პროცედურა

4.1. „სამსახურის“ მოთხოვნა უნდა შეიცავდეს სამსახურის ერთიან ელექტრონულ ბაზაში რეგისტრირებული დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გადამხდელის ან/და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით რეგისტრირებული დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელი იურიდიული პირის დამფუძნებლის ან/და ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მონაცემებს მემორანდუმის 1.4 პუნქტის შესაბამისად, რაზედაც „სააგენტოსგან“ პასუხი დაუბრუნდება მემორანდუმის N1 დანართით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, მყისიერად (დროის რეალურ რეჟიმში).

4.2. „სააგენტო“ პასუხისმგებელია ამ მემორანდუმით გათვალისწინებული პირობებით, ინფორმაციის გაცემის მომენტისათვის (ინფორმაციის გაცემის თარიღი) „ბაზაში“ დაფიქსირებული მონაცემებსა და „სამსახურისთვის“ მიწოდებულ მონაცემებს შორის იდენტობაზე.

4.3. პასუხისმგებლობა იმასთან დაკავშირებით, რომ „სამსახურის“ მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია დაკავშირებულია მხოლოდ წინამდებარე მემორანდუმის მიზნებისათვის, შეესაბამება ამ მუხლის 4.1. პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, აგრეთვე, მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობაზე, ეკისრება „სამსახურს“.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. „სამინისტრო“ ვალდებულია:

5.1.1. უზრუნველყოს მემორანდუმით გათვალისწინებული კავშირის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებები, საკუთარი ინფრასტრუქტურის გამართული მუშაობა და შეუფერხებლად გამოყენება;

5.1.2. მონაცემთა წვდომზე წინასწარ ცნობილი შეფერხებების ან ტექნიკური ცვლილების თაობაზე, აცნობოს „მხარეებს“, არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე.

5.2. **„სამინისტრო“ უფლებამოსილია,** მოითხოვოს მხარეებისაგან წინამდებარე მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების დაცვა.

5.3. „სამსახური“ ვალდებულია:

5.3.1. განახორციელოს მემორანდუმით გათვალისწინებული კავშირის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებები;

5.3.2. „სააგენტოსაგან“ ინფორმაცია გამოითხოვოს მხოლოდ წინამდებარე მემორანდუმის დანართი N1-ით გათვალისწინებული პირობებით;

5.3.3. არ დაუშვას „სააგენტოსაგან“ მიღებულ ინფორმაციაზე მესამე პირთა დაშვება (წვდომა), „სააგენტოსგან“ მიღებული ინფორმაციის მესამე პირებისათვის გადაცემა, გადაცემის მიზნით

დამუშავება/სისტემატიზაცია ან/და სხვაგვარი ხელმისაწვდომობა, კოპირება/შენახვა, (გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა), როგორც მემორანდუმის მოქმედების ვადის განმავლობაში, ისე მისი ვადის გასვლის შემდგომ;

5.3.4. უზრუნველყოს „სააგენტოს" მიერ ადმინისტრირებადი „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან" ამ მემორანდუმით გათვალისწინებული წესით ინფორმაციის გამოთხოვა მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი საკუთარი უფლებამოსილებების განსახორციელებლად, მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნისთვის და იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია ამ კანონიერი მიზნის მისაღწევად, წინააღმდეგ შემთხვევაში სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მას;

5.3.5. გამოთხოვილი მონაცემების დაცვის მიზნით, მიიღოს უსაფრთხოების შესაბამისი ზომები მათი არასანქცირებული ან/და შემთხვევითი დარღვევის, დაკარგვის, არასანქცირებული შეღწევის, შეცვლის ან გავრცელების წინააღმდეგ. ასევე, არ დაუშვას მათი გამოყენება კანონიერ მიზნებთან (კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ მიზნებთან) შეუთავსებელი გზით;

5.3.6. მემორანდუმის ფარგლებში აღრიცხოს პირველი მუხლით გათვალისწინებული სერვისით სარგებლობის შესახებ ინფორმაცია, რომელიც „სამსახურში" უნდა ინახებოდეს არანაკლებ 1 (ერთი) წლის განმავლობაში;

5.3.7. მიაწოდოს მხარეებს ამ მუხლის „5.3.6." ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მოთხოვნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში;

5.3.8. აუნაზღაუროს სააგენტოს ამ პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევის შედეგად დამდგარი ზიანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5.4. **„სამსახური" უფლებამოსილია:**

5.4.1. მოითხოვოს მხარეებისაგან წინამდებარე მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების დაცვა;

5.4.2. სააგენტოსაგან მოითხოვოს შესაბამისი საკომუნიკაციო საშუალებებისა და პროგრამული უზრუნველყოფის გამართულობა;

5.4.3. გამოითხოვოს პირველი მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია, საჭიროების მიხედვით, არაერთჯერადად.

5.5. **„სააგენტო" ვალდებულია:**

5.5.1. განახორციელოს მემორანდუმით გათვალისწინებული კავშირის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებები;

5.5.2. მონაცემთა წვდომზე წინასწარ ცნობილი შეფერხებების ან ტექნიკური ცვლილების თაობაზე, აცნობოს „მხარეებს", არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე;

5.5.3. „სამსახურს" ინფორმაცია მიაწოდოს მხოლოდ ამ მემორანდუმის N1 დანართით გათვალისწინებული პირობებით, ინფორმაციის გაცემის მომენტისათვის (მონაცემების გაცემის თარიღი) „ბაზაში" დაფიქსირებული მონაცემების მიხედვით;

5.5.4. „სამსახურის" მიერ, პირველი მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში, დანართი N1 შესაბამისად, ინფორმაცია გასცეს დაუყოვნებლივ.

5.6. **„სააგენტო" უფლებამოსილია:**

5.6.1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, მონაცემთა დამუშავების კანონიერებაზე კონტროლის განხორციელების მიზნით, „სამსახურს" მოსთხოვოს ამ მუხლის „5.3.6." ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემების წარმოდგენა, მოთხოვნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, მოთხოვნის შესაბამისი ფორმით;

5.6.2. „სამსახურის" მხრიდან „5.3." პუნქტით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, მოითხოვოს დამდგარი ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტის წესი

6.1. მხარეთა შორის სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს სასამართლო, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.2. ამ მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6.3. ამ მემორანდუმით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორსმაჟორული, მათ შორის, ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ მემორანდუმის შესრულებაზე. მემორანდუმის შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ფორსმაჟორის გამომწვევ გარემოებათა დასრულებამდე.

7.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორსმაჟორული გარემოება 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში აცნობებს მემორანდუმის სხვა მონაწილეებს ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზებს და მათი შესრულების მოსალოდნელ თარიღს, რის შემდეგაც, ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეიძლება გადაიდოს ფორსმაჟორის გაგრძელების ვადით ან მემორანდუმის შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით.

მუხლი 8. მემორანდუმის მოქმედების ვადა, შეწყვეტა და მასში ცვლილებები

8.1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან განუსაზღვრელი ვადით.

8.2. წინამდებარე მემორანდუმი შესაძლებელია შეწყდეს ურთიერთშეთანხმებით. შეწყვეტა შესაძლებელია ასევე, მემორანდუმის ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, უპირობოდ, ნებისმიერ დროს, მემორანდუმის დანარჩენ მხარეთათვის, შეწყვეტამდე 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით ადრე, წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. აღნიშნული ვადის გასვლისთანავე მემორანდუმი ითვლება შეწყვეტილად.

8.4. წინამდებარე მემორანდუმში ცვლილებების და დამატებების შეტანა დასაშვებია მხარეთა ერთობლივი წერილობითი შეთანხმებით; მემორანდუმის მხარეები უფლებამოსილნი არიან მოითხოვონ მემორანდუმის მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი.

8.5. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითოეულ მხარეს გადაეცემა თითო ეგზემპლარი.

8.6. დანართი N1 წარმოადგენს ამ მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს

მუხლი 9. მხარეთა რეკვიზიტები

„სამინისტრო“
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ. N144
საიდენტიფიკაციო კოდი: 211333957

„სააგენტო“
სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
მის.: ქ.თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი N144
საიდენთიფიკაციო კოდი: 202178927

„სამსახური“
სსიპ - შემოსავლების სამსახური
მის.: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქ. №16
საიდენტიფიკაციო კოდი: 204525585

„სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზასთან“ ელექტრონული ურთიერთობის პროტოკოლი

სერვისი და სერვისის ოპერაციები :

ინფორმაცია, არის თუ არა პიროვნება სარეიტინგო ქულის დიაპაზონში სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, არსებობის შემთხვევაში პიროვნების სახელი, გვარი, ტელეფონი, ოჯახის ფაქტობრივი მისამართი.

სერვისის პარამეტრები:

- პიროვნებების პირადი ნომერი;
- მომხარებლის სახელი;
- მომხმარებლის პაროლი;

სერვისის გამოძახება

სერვისი განთავსებულია შემდეგ მისამართზე:

http://სერვისის მისამართი/SSASocialServices/ssaservice.asmx

მეთოდის დასახელებაა:

```
GetFamilyInRangeAddrDet_Phone (string privateNumber, string userName, string password)
```

privateNumber - პირადი ნომერი
userName - მომხმარებლის სახელი
password – პაროლი

სერვისი აბრუნებს კლასს

GetFamilyInRangeAddrDet_PhoneResultEntity კლასის აღწერა

```
/// <summary>
/// ოჯახის წევრის პირადი ინფორმაცია ოჯახის წევრის პირადი ნომრით,
/// მისამართი დეტალურად, ოჯახის უფლებამოსილი პირის ტელეფონი/ები სოციალურად
   დაუცველთა ერთიან მონაცემთა ბაზაში
/// </summary>
public class GetFamilyInRangeAddrDet_PhoneResultEntity
{
    public ResultStatus ResultStatus   // მოთხოვნის პასუხის სტატუსი
    public string Region               // რეგიონის დასახელება
    public string District             // რაიონის დასახელება
    public string City                 // ქალაქი
    public string Government           // საკრებულო/დაბა/თემი
    public string Village              // სოფელი
    public string FullAddress          // ოჯახის რეგისტრაციის სრული მისამართი
    public string PrivateNumber        // პირადი ნომერი
    public string FirstName            // სახელი
    public string LastName             // გვარი
    public string Phones    // ოჯახის უფლებამოსილი პრისი ტელეფონი/ები
}
```

```
/// <summary>
/// პასუხი მოთხოვნაზე
/// </summary>
public class ResultStatus
{
    public int StatusCode { get; set; }              // ოპერაციის სტატუსი
    public string StatusDescription { get; set; }    // ოპერაციის სტატუსის განმარტება
}
```

ვერ მოძებნის შემთხვევაში ResultStatus და PrivateNumber გარდა ყველა ველი იქნება ცარიელი. ოპერაციისს სტატუსის მნიშვნელობები იხ. **ცხრილი #1**

ცხრილი #1: ოპერაციის სტატუსის კოდები და განმარტება

პასუხის კვალიფიცირება	StatusCode	StatusDescription
შეცდომა	-1	Wrong username/password or Access denied
შეცდომა	-1	because of technical gap, it is impossible to search information
შეცდომა	-1	სისტემის შეცდომა (Exception)
	0	Not found or Access Danied on this Region/District or Family Score Range
	1	Operation success